ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №21 ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე,
ს.კ. 01.19.20.027.018 დაპროექტებული სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

თბილისი

2 0 2 2

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება“

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, შუამთის ქუჩა №21

საკადასტრო კოდი: 01.19.20.027.018

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სპორტული დარბაზი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: შ.პ.ს „სტუდიო 9” /მ. ჩხაიძე

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

- <u>გაითვალისწინეთ:</u>

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ან/და მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

- <u>საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:</u>

    - პირობითი აღნიშვნები;
    - შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;
    - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
    - საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი;
    - საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
    - შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა;
    - შენობა-ნაგებობის ჭრილები;
    - შენობა-ნაგებობის ფასადები;
    - კიბის დეტალური ნახაზები;
    - ფასადისა და სახურავის დეტალური ნახაზები;
    - შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

გამოსაკვლევი ნაწილები:

საექსპერტო შეფასება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

12) შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასებას.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი როგორც უკვე აღვნიშნეთ, ითვალისწინებს სავარჯიშო დარბაზის რეკონსტრუქციას. შენობაში გათვალისწინებული თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

- პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

თავშეყრის ჯგუფი თვ-4

- +0.00 ნიშნულზე განთავსებული სპორტული დარბაზი (საასპარეზო არენა ფიქსირებული დასაჯდომებით)

<u>აღნიშნული შეესაბამება 303.5 ქვეთავს.</u>

საქმიანი ჯგუფი სქ

- -2.34 ნიშნულზე განთავსებული ქალებისა და კაცების გასახდელები
- +0.00 ნიშნულზე განთავსებული მწვრთნელისა და ექიმის ოთახი.

<u>აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.</u>

საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1

- +3.30 ნიშნულზე განთავსებული სპორტული ინვენტარის საწყობი

<u>აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.</u>

- რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებს, პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

სპორტული დარბაზისთვის (თვ-4) მიკუთვნებულია სპორტული ვარჯიშებისთვის განკუთვნილი სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 4.7-ზე.

ტრიბუნების (თვ-4) და გასახდელების (სქ) დაკავებულობის დატვირთვა გამოთვლილია ფიქსირებული დასაჯდომებისა და კარადების რაოდენობის მიხედვით, რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით.

ინვენტარის საწყობს (სწ-1) მიკუთვნებული აქვს საწყობების სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 46.5-ზე.

მწვრთნელის და ექიმის ოთახებისთვის (სქ) მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობების სივრცის სტატუსი და თითოეული ოთახის მთლიანი ფართობი გაყოფილია 9.3-ზე.

შენიშვნა: *დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია მთელი რიცხვის სიზუსტით.*

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი (**II-B**), 503 ცხრილის მიხედვით, შენობის სიმაღლის, სართულიანობის და ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული.
- ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის განსაზღვრულია 601-ე ცხრილის შესაბამისად, შემდეგი სახით:

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 0 სთ.
- გარე მზიდი კედლები ---------- 0 სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 0 სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 0 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც სრულად შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა:

- *II ტიპის კონსტრუქციებში შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს.*

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 14.19 მეტრს, შესაბამისად შენობა არ არის მაღლივი.
- ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საპროექტო შენობა, მისი კონსტრუქციის ტიპის (II-B) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით სრულიად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობას გააჩნია მიწის დონის ზევით განთავსებული 2 სართული და მიოწის დონის ქვევით განთავსებული 1 სართული.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობ შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.</u>

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- საპროექტო შენობას, დაკავებულობის დატვირთვის და გასასვლელამდე სავალი მანძილის მიხედვით (ცხრილი 1021.2(2) ესაჭიროება 2 გასასვლელის მოწყობა, რაც პროექტით გათვალისწინებულია 2 გარეთ გასასვლელი გზა-კარის სახით.

- გასასვლელები ერთმანეთისგან დაშორებულია შენობის ან ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელები გადის პირდაპირ შენობის გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელისკენ მიმავალი საერთო სავალი ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.

- -2.34 და +3.30 ნიშნულებზე განთავსებულ სარტულებს, დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის გათვალისწინებით, საკმარისი ემსახურებოდეს თითო გასასვლელი (ცხრილი 1021.2(2), რაც პროექტით გათვალისწინებულია გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის სახით.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.

- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარის რაოდენობა და მდებარეობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავს.

- ვინაიდან შენობა ერთსართულიანია, სახურავს არ მოეთხოვება კიბით მისადგომობა, რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნას.

შენიშვნა:

- *სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციები და საევაკუაციო გეგმები უნდა არსებობდეს ყველა დაკავებულობისა და შენობისთვის.*
- *გასასვლელი საშუალებების სავალი ზედაპირები არ უნდა იყოს სრიალა და საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.*
- *გასასვლელი საშუალებები შენობიდან გამოსასვლელიანად ყოველთვის უნდა იყოს განათებული, როდესაც შენობის სივრცე (რომელსაც ეს გასასვლელი საშუალებები ემსახურება) დაკავებულია.*
- *გასასვლელების, დერეფნების, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების განათებულობას დენით შენობა-ნაგებობის ელექტრომომარაგება უნდა უზრუნველყოფდეს. დენის გათიშვისას, ზემოაღნიშნული გასასვლელის კომპონენტები სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს.*
- *სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისგან.*
- *გასასვლელებსა და გასასვლელთან მისადგომის კარებს უნდა ჰქონდეს გასასვლელის აღმნიშვნელი ნიშანი, რომელიც ადვილად დასანახია გასასვლელისკენ სავალი ნებისმიერი მიმართულებით. გასასვლელისკენ სავალი ბილიკი და გასასვლელების საზღვრებში მდებარე ბილიკი აღნიშნული უნდა იყოს ადვილად დასანახი გასავლელების ნიშნებით, რომლებიც გარკვევით მიუთითებს გასასვლელისკენ სავალ ბილიკზე იმ შემთხვევებში, როდესაც გასასვლელი ან გასასვლელისკენ სავალი ბილიკი შენობის დამკავებელთა ხედვის არეში არ არის. გასასვლელების საზღვრებში მდებარე შუალედური გასასვლელი საშუალებების კარებზე უნდა განთავსდეს გასასვლელის ნიშნები. გასასვლელის ნიშანი ისე უნდა განთავსდეს, რომ ხედვის არეში მდებარე უახლოესი ნიშნიდან გასასვლელთან მისადგომის დერეფნის ან გასასვლელის გზა-დერეფნის არცერთი წერტილი არ აღმოჩნდეს 30 მ-ზე ან ნიშნის ხილვადობის განსაზღვრულ მანძილზე შორს (რომელიც ნაკლები იქნება).*
- *გასასვლელის ნიშნები ყოველთვის განათებული უნდა იყოს. დენის ძირითადი წყაროს გათიშვისას გასასვლელის ნიშნების განათება რომ, სულ მცირე, 90 წუთის განმავლობაში შენარჩუნდეს, ნიშნის გამანათებელი საშუალებები უნდა მიეერთდეს სათადარიგო*

ელექტრომომარაგების სისტემას, რომელიც მარაგდება აკუმულატორებიდან, მოწყობილობიდან ან ადგილობრივი გენერატორიდან.

სათადარიგო ელ-მომარაგების მიზნით, ტერიტორიაზე, შენობისგან დამოუკიდებლად გათვალისწინებულია გენერატორის განთავსება.

- <u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5. გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების კომპონენტია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ და მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
- დერეფნების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად სართულის დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. დერეფნების სიგანე აკმაყოფილებს, როგორც 1018.2-ე ცხრილით მოცემულ, ისე 1005.3.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

<u>გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობა მისაწვდომია შშმ პირთათვის, რაც აკმაყოფილებს 1103.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მისაწვდომ შესასვლელებამდე, რაც აკმაყოფილებს 1104.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს, რაც აკმაყოფილებს 1104.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- შენობაში, გათვალისწინებულია 4 მისაწვდომი ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა: *მისაწვდომი ტუალეტები უნდა აკმაყოფილებდეს ICC A117.1 სტანდარტის მოთხოვნებს.*

<u>შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- II-B ტიპის კონსტრქციიდან გამომდინარე, 601 და 602 ცხრილების მიხედვით, საპროექტო შენობის ძირითადი კონსტრუქციულ ჩარჩოსა და მზიდ კედლებს ხანძარმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, თუმცა წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის ყველა გარე კედელი არის ბეტონის ბლოკის, რომელსაც გააჩნია 2 საათზე მეტი ხანძარმედეგობის ხარისხი.
- გარე კედლებში მოწყობილი ღიობების მაქსიმალური ფართობი აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- 1403.2-ე ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით, ატმოსფერული ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით მოწყობილი დამცავი საფარი არ მოეთხოვება ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს.

შენიშვნა: *გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.*

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ლითონის ფერმებზე მოწყობილი, პარაპეტის საზღვრებში მოქცეული ქანობიანი სენდვიჩპანელის გადახურვა.
- სახურავს, როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს შენობის კონსტრუქციის ტიპის **(II-B)** გათვალისწინებით, 601 ცხრილის თანახმად, არ მოეთხოვება ხანძარმედეგობის ხარისხი.
- სახურავზე მოწყობილი წყლის გამშვები ხვრელის ზომები აკმაყოფილებს 1503.4.2-ე ქვეთავის მოთხოვნას.
- სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით განეკუთვნება C კლასს, და აკმაყოფილებს 1505.1ა ცხრილის მოთხოვნებს. (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).

შენიშვნა:

- *ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში.*
- *ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.*
- *შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.*

<u>სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების არსებობა საჭირო არ არის 508.2 ქვეთავის თანახმად.

<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

- შენობა არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას 903.2.1.4 ქვეთავის თანახმად.
- **შენობაში გათვალისწინებულია კვამლის ავტომატური არმომჩენი სისტემა და სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა,** რომელიც გამოსცემს დამკავებელთა შეტყობინების სიგნალს (სახანძრო სიგნალიზაცია) 907.5.2.2 ქვეთავის შესაბამისად.

  შენიშვნა: *სახანძრო განგაშის სისტემა NFPA 72-ის მიხედვით უნდა დამონტაჟდეს. ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. უსადენო დამცავი სისტემები, რომლებიც იყენებს რადიოსიხშირის გადამცემ მოწყობილობებს, უნდა აკმაყოფილებდეს მცირესიმძლავრიან უსადენო სისტემებთან დაკავშირებულ NFPA 72-ის სპეციალურ მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად.*

- *სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი არ უნდა განთავსდეს გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 60 მ-ს. შვეულად გაზომვისას, იატაკის დონიდან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის გასააქტიურებელ სახელურამდე ან ბერკეტამდე, არანაკლებ, 1,0 მ და, არაუმეტეს, 1,4 მ უნდა იყოს. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი უნდა იყოს წითელი ფერის. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები ყოველთვის ხელმისაწვდომი და ადვილად დასანახი უნდა იყოს.*

- **მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები** გათვალისწინებულია სპორტულ დარბაზში, რაც მოთხოვნილია 907.5.2.3.1 ქვეთავის შესაბამისად.

  შენიშვნა: *სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).*

- **საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები,** რომლებიც განთავსებულია ისეთი ადგილმდებარეობით, რომ მათთან მისადგომად საჭირო არ არის 23 მეტრზე მეტი მანძილი. აღნიშნული აკმაყოფილებს 906.1 ქვეთავის მოთხოვნას.

  შენიშვნა: *პორტატული ცეცხლსაქრობი უნდა შეირჩეს და მოეწყოს NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.*

- *პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.*

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- საპროექტო შენობაში დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით, სავალდებულოა თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე მოწყობილობების განთავსება, რაც პროექტით გათვალისწინებულია. ფიქსირებული წყალსადენის სისტემების რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მინიმალურ მოთხოვნებს.
- შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირთათვის ადაპტირებული თითოეული სქესისთვის დამოუკიდებელი ტუალეტები. აღნიშნული ტუალეტები მოწყობილია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- ტუალეტებთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2-ე ქვეთავის მოთხოვნასთან.
- შენობაში გათვალისწინებულია სამომსახურეო ნიჟარა და სასმელი წყლის დასალევი შადრევანი, რაც შეესაბამება „წესების“ მოთხოვნებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება:

- ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივად ან/და მექანიკურად, თანახმად 1203.1 ქვეთავისა.
- ყველა ის ფართობი, რომელიც ბუნებრივად ნიავდება, აკმაყოფილებს 1203.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს (გარე გასაღები ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის იატაკის ფართობის 4%-ზე ნაკლები).
- გასახდელები, ტუალეტები და სააბაზანოები ნიავდება მექანიკურად, რაც აკმაყოფილებს 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თავშეყრის მიზნით გამოყენებული სივრცისთვის, გასავლელის მინიმალური თავისუფალი სიგანე, გასავლელთან მისადგომი და გასავლელთან მისადგომი გზის გასწვრივ სავალი მანძილის სიგრძე აკმაყოფილებს 1028.10 ქვეთავის მოთხოვნებს.
- არცერთი დაკავებული სივრცის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1208.2 ქვეთავის მოთხოვნას.

შიდა გარემოსთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

დასკვნა:

ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №21 ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს.კ. 01.19.20.027.018 დაპროექტებული სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

შენობა ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი:

სპარტაკ მელიქიშვილი

18.03.2022

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
   - განიავების და ცეცხლის/კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
   - გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
3. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.
4. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

სპარტაკი მელიქიშვილი



მობილური: 995595989555
ელ-ფოსტა: smelikishvili@yahoo.com
ოჯახური მდგომარეობა: დასაქორწინებელი
დაბადების თარიღი: 18 იანვარი, 1969

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1990 - ივლისი / 1996
არქიტექტორი, არქიტექტურა
უმაღლესი განათლება

სამუშაო გამოცდილება

სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური ***თებ / 2015 - ივნ / 2016 (16 თვე - 1,5 წელი)***

<u>მოვალეობები:</u> I-II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელი, შ. პ. ს " არქსტუ-დია", ნოე / 2006 - ნოე / 2014 (96 თვე - 8 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", ნოე / 2004 - ნოე / 2006 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> მშენებლობის მართვის სამსახური

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " ბურჯი", ივლ / 2004 - ნოე / 2004 (4 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

უფროსი არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", სექტ / 2002 - ივლ / 2004 (22 თვე - 1 წელი და 10 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს"არქსტუდია", სექტ / 2000 - სექტ / 2002 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტექტორი, **მ ს " თბილქალაქპროექტი"**, აგვ / 1999 - სექტ / 2000 (13 თვე - 1 წელი და 1 თვე)

მოვალეობები: პროექტირება

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

სრული სტაჟი: 199 თვე (16 წელი და 6 თვე)

ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი), რუსული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD (ძალიან კარგი), 3D MAX (ძალიან კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Arc GIS (ძალიან კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), Microsoft Office Word (ძალიან კარგი)

პროექტები

- **PAPILON**, ოქტომბერი / 2013 - ნოემბერი / 2013
  სავაჭრო პავილიონი,
  ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნაკვეთი#25/21

- **სასტუმრო სამტრედიის ქუჩაზე**, მაისი / 2013 - ივნისი / 2013
  სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირი #117.

- **საცხოვრებელი კომპლექსი**, თებერვალი / 2013 - მარტი / 2013
  საცხოვრებელი და კომერციული,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში ნუცუბიძის IV მიკრო, ნაკვეთი 02/041.
  შენობა შვიდსართულიანია, პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული ფართები, ხოლო დანარჩენი სართულები არის საცხოვრებელი.

- **საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო**, ოქტომბერი / 2012 - ნოემბერი / 2012
  საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ავშნიანი, ნაკვეთი# 6/74
  ობიექტი გამოირჩევა მისი რელიეფით ნაწილი შენობის სამ სართულიანია, ნაწილი ერთი.

- **შეშელიძის 25ა**, ივლისი / 2012 - აგვისტო / 2012
  მრავალფუნქციური,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქ #25ა შენობა ორსართულიანია და არის მრავალფნუქციური. პირველ სართულზე განლაგებულია ავტოსერვისის ბოქსები, ავტონაწილების მაღაზია, კაფე. მეორე სართულზე კი ოფისები.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აპრილი / 2011 - ივნისი / 2011

  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილ-სანერგე მეურნეობა.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აგვისტო / 2010 - ოქტომბერი / 2010
  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის პლატო, IV მიკრო,
  ნაკვეთი#003/055

- **PARK PLACE**, ნოემბერი / 2004 - მაისი / 2006
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  ობიექტი მდებარეობს ი.ჭავჭავაძის გამზირზე #80(ცუს ტბის ასასვლელთან)
  არქსტუდიამ განახორციელა მშენებლობის მენეჯმენტი, რომელ ჯგუფშიც ვიყავი მთავარი არქიტექტორი, აღნიშნული კომპლექსი ერთ-ერთი პირველი ობიექტია რომელიც ჩაბარდა დასრულებული ბინებით.

- **ჭავჭავაძის 23-23ა**, დეკემბერი / 2002 - მარტი / 2003
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს"არქსტუდიის" ჯგუფთან ერთად

- **ბანკი რესპუბლიკა**, მარტი / 2002 - თებერვალი / 2003
  სათაო ოფისი,
  ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში გრიგოლ აბაშიძის # 2 (ყოფლი ატენის ქუჩა)
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს არქსტუდიის ჯგუფთან ერთად

- **ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი**, თებერვალი / 1999 - ოქტომბერი / 1999
  სამედიცინო ცენტრი,
  პროექტი შესრულდა მ.ს "ქალაქპროექტი"-ის ზურაბ ზურაბიშვილის სახელოსნოში

საკონტაქტო ინფორმაცია

მამის სახელი	არსენი
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
დაბადების ადგილი	თბილისი
სამხედრო ვალდებულება	სამხედრო მოსამსახურე
პირადი ნომერი	01006006674
სერია	18IB27392
ფაქტობრივი მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
რეგისტრაციის მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
ავტომანქანის მართვის მოწმობის ნომერი	AH # 0543331
სახლის ტელეფონი	2530269

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



გარეთის No / CARD No

18IB27392

სახელი / FIRST NAME

სპარტაკ

SPARTAK

გვარი / LAST NAME

მელიქიშვილი

MELIKISHVILI

მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No

GEO | მმ / M | 01006006674

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH

18.01.1969

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY

05.09.2028

ხელმოწერა / SIGNATURE

ს. მელიქიშვილი

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
05.09.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2017
სშს-ს რეგისტრაციის № 26-3184

IDGE018IB2739290100600667 4<<<<
6901187M2809056GE0<<<<<<<<<<<<8
MELIKISHVILI<<SPARTAK<<<<<<<<<<

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-030

გადაეცემა

სპარტაკ მელიქიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ გოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Spartak Melikishvili

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge

დიპლომი

საქართველო

დიპლომი ლდ № 012022

მიეცა სპარტაკ არსენის ძე მელიქიშვილს

მასზე, რომ ის 1980 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1986 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ს.ა. მელიქიშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 31 X 1986 წ.

რეგისტრაცია № 4719

საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №21 ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს.კ. 01.19.20.027.018, დაპროექტებული სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:

✓	**მისაწვდომი სვლაგეზი:**	• მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები; • მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი კომპონენტები: კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები, პანდუსი, ლიფტი.
✓	**წყალსადინარი ელემენტები და მოწყობილობები:**	• წყლის დასალევი შადრევნები; • ტუალეტები; • უნიტაზები; • ხელსაბანები; • საშხაპეები
✓	**საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:**	• ნიშნები;
✓	**სპეციალური ოთახები და სივრცეები;**	• ტანსაცმლის გამოსაცვლელი და შესანახი ოთახები;

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

   - იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება არანაკლებ 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარებები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. **პანდუსი, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
   - პანდუსის დახრა არ არის 1/12-ზე მეტი, რაც შეესაბამება 405.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ქანობი, რომელიც იზომება პანდუსების სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.
- პანდუსების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 900 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან.
- პანდუსების თავსა, შუაში და ბოლოში უზრუნველყოფილია ბაქნები. ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს, ბაქნების თავისუფალი სიგანე უტოლდება პანდუსის სიგანეს, ბაქნების თავისუფალი სიგრძე აღემატება 1500 მმ-ს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.3 ქვეთავების მოთხოვნებს.
- სადაც გზა-კარი პანდუსის ბაქნების მომიჯნავედ მდებარეობს, მანევრირებისათვის საჭირო თავისუფალი სივრცე გადადის ბაქნის ფართობზე, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 405.7.5 ქვეთავის შესაბამისად.
- ვინაიდან პანდუსების ამაღლება ცდება 150 მმ-ს, პანდუსებს ემსახურება სახელურები, რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.
- პანდუსების კიდეები დაცულია ორივე მხარეს, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას. კიდეები დაცულია 100 მმ-იანი ბორდიურით, 405.9.2.1 ქვეთავის შესაბამისად.

4. **შენობაში მოწყობილია 408 ქვეთავის შესაბამისი შეზღუდული გამოყენების ლიფტი. ასეთი ლიფტის მოწყობის შესაძლებლობა ძირითადად დასაშვებია ისეთ ადგილებში, სადაც სტანდარტული ლიფტების მოწყობა როგორც ზოგადად და ასევე ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით არაპრაქტიკულია.**

ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 408 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (408 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- საპროექტო ლიფტი აკავშირებს ორ დონეს, +0.00 და +2.00 ნიშნულს.
- ლიფტის კაბინას გაჩნია ორი კარი, რომელიც საპირისპიროდ იღება. აღნიშნული დასაშვებია 408.3.3 (ბ) და 408.3.3.1 ქვეთავით.



სურ. 408.3.3 (ბ)
შეზღუდული გამოყენების ლიფტები - კაბინა კარებით, რომელიც საპირისპირო მიმართულებით იღება

408.3.3.1 **კაბინები ერთი კარით ან კარებით, რომელიც საპირისპირო მიმართულებით იღება.** კაბინის კარი უნდა მდებარეობდეს კაბინის ვიწრო ბოლოსთან, კაბინის კარების თავისუფალი ღიობის სიგანე სულ მცირე 820 მმ უნდა იყოს.

- ლიფტის კარი ანჯამებიანია, რომელიც ავტომატურად იხურება, რაც აკმაყოფილებს 408.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

408.3.2 **ანჯამებიანი კარი.** ლიფტის შახტის ანჯამებიანი კარი უნდა იღებოდეს და იხურებოდეს ავტომატურად და უნდა შეესაბამებოდეს 407.3.1 – 407.3.3-ე და 408.3.3-ე ქვეთავებს.

- საპროექტო ლიფტის კაბინის სიგანე არის: 1150 მმ, სიღრმე: 1500მმ, ფართობი: 1.725 კვ.მ, რაც აკმაყოფილებს 408.4.1 (ა) ქვეთავის მოთხოვნას.



სურ. 408.4.1 (ა)
შეზღუდული გამოყენების ლიფტის კაბინის შიდა ზომები - ახალი შენობები

- ლიფტის კარის სუფთა სიგანე განსაზღვრულია 900 მმ-ით, რაც შესაბამისობაშია 408.3.3.1 ქვეთავთან.

408.3.3.1 **კაბინები ერთი კარით ან კარებით, რომელიც საპირისპირო მიმართულებით იღება.** კაბინის კარი უნდა მდებარეობდეს კაბინის ვიწრო ბოლოსთან, კაბინის კარების თავისუფალი ღიობის სიგანე სულ მცირე 820 მმ უნდა იყოს.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. **საპროექტო შენობაში და მის გარეთ მოწყობილი წყლის დასალევი ფანტანები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-6 თავის დებულებებს. საპროექტო შენობაში მდებარე წყლის დასალევი ფანტანების მისაწვდომობის რაოდენობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნების მიხედვით.**

- წყლის დასალევი შადრევნის წინ, რომელიც განკუთვნილია ეტლით მოსარგებლეთათვის, ცენტრალურად შადრევნის მიმართ გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე, ზომებით 760 მმ X 1300 მმ-ზე, და აღნიშნული სივრცისთვის მოწყობილია 305-ე და 306-ე ქვეთავების შესაბამისი მისადგომები, როგორც ზრდასრულთათვის ისე საბავშვო გამოყებისათვის, რაც აკმაყოფილებს 602.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ეტლით მოსარგებლეთათვის განკუთვნილი შადრევნის ონკანის სიმაღლე იატაკიდან ზემოთ შეადგენს 760 მმ-ს, თანახმად 602.2.3 ქვეთავისა.

- ეტლით მოსარგებლეთათვის განკუთვნილი შადრევნის ონკანი მდებარეობს წყლის დასალევი შადრევნის წინა კიდიდან 90 მმ-ზე ნიჟარის ჩათვლით და 380 მმ-ზე შვეული საყრდენიდან ნიჟარის ჩათვლით.

- ფეხზე მდგომთათვის განკუთვნილი წყლის დასალევი შადრევნის ონკანის სიმაღლე იატაკიდან ზემოთ შეადგენს 960 მმ-ს, რითაც შადრევანი აკმაყოფილებს როგორც ზრდასრულთათვის ისე საბავშვო გამოყებისათვის მოთხოვნებს, თანახმად 602.3.2 ქვეთავისა.

- წყლის დასალევი შადრევნების ელემენტების სამართავები მოწყობილია 602.2.2 და 602.3.1 ქვეთავების მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. **საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

- შენობაში მოწყობილ მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურებში უნიტაზთან გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე 1500 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.9 და 604.9.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- ეტლისთვის მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურების კარი არ იღება ნაკვეთურის აუცილებელ მინიმალურ ფართობში, რაც აკმაყოფილებს 604.9.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურებისთვის ფეხის ფალანგისთვის საჭირო სივრცე მოწყობილია 604.9.5.1 და 604.9.5.2 ქვეთავების შესაბამისად.

- მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურებზე კარის ღიობები მოწყობილია 604.9.3.1 ქვეთევის მოთხოვნების დაცვით.

- შენობაში მოწყობილ მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში, უნიტაზთან გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავით დადგენილ მინიმალურ ზომებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურში განთავსებული უნიტაზისთვის მოწყობილია ხელმოსაჭიდი ძელები, რაც აკმაყოფილებს 604.9.6, 609, 604.5.1 და 604.5.2 ქვთავების მოთხოვნებს.

- შენობაში მოწყობილი მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში განთავსებულ უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- ბავშვებისთვის განკუთვნილი უნიტაზებთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 609.4.2 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- შენობაში მოწყობილი მისაწვდომი უნიტაზები უზრუნველყოფილია 309 და 604.6 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისი ჩარეცხვის სამართავებით.

- მისაწვდომი ტუალეტებში მოწყობილი ქაღალდის დისპენსერები აკმაყოფილებს 604.7, 309.4 და 609.3 ქვეთავების მოთხოვნებს.

1. **ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 და 305.3.1 ქვეთავების შესაბამისად.

   - ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

2. **შენობაში მოწყობილი საშხაპეები შეესაბამება 608 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - ეტლის შესაგორებელი საშხაპის არმქონე ნაკვეთურების შიგა თავისუფალი ზომები შეესაბამება 608.2.1.1 ქვეთავს.

   - ეტლის შესაგორებელი საშხაპის არმქონე ნაკვეთურებთან დაცულია 1300 მმ სიგრძისა და 900 მმ სიღრმის იატაკის თავისუფალი სივრცე, რაც აკმაყოფილებს 608.2.1.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

   - ეტლის შესაგორებელი საშხაპის არ მქონე ნაკვეთურებში მოწყობილია საშხაპის ნაკვეთურის დასაჯდომები, რაც აკმაყოფილებს 610.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

   - ეტლის შესაგორებელი საშხაპის არ მქონე ნაკვეთურებში მოწყობილია ხელმოსაჭიდი ძელები 608.3.1 ქვეთავის შესაბამისად.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. **საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:**

   - გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

   - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოებგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

  - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

  - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

სპეციალური ოთახები და სივრცეები:

1. **შენობაში ტანსაცმლის გამოსაცვლელი და შესანახი ოთახები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-8 თავის დებულებებს.**

   - ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანახ ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 803.2 და 304.3.2.1 ქვეთავების მოთხოვნას.

   - ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანახ ოთახებში კარის ღიობები იღება ოთახისკენ, თუმცა ოთახში უზრუნველყოფილია 305-ე ქვეთავის შესაბამისი იატაკის თავისუფალი სივრცე, რაც აკმაყოფილებს 803.3 ქვეთავის მოთხოვნას.

   - ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანახ ოთახებში მოწყობილია 903-ე ქვეთავის შესაბამისი ძელსკამები, რაც აკმაყოფილებს 803.4 ქვეთავის მოთხოვნას.

   - ძელსკამის ბოლოში მდებარეობს იატაკის თავისუფალი სივრცე, რომელსაც პარალელური მისაწვდომი აქვს ძელსკამის ღერძთან, თანახმად 903.2 ქვეთავისა.

   - ძელსკამის დასაჯდომის ზომები აკმაყოფილებს 903.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

   - ძელსკამის დასაჯდომის თავი მდებარეობს იატაკიდან არაუმცირეს 430 მმ და არაუმეტეს 480 მმ სიმაღლეზე; ასევე საბავშვო გამოყენების ძელსკამის დასაჯდომის თავი იატაკიდან მდებარეობს არაუმცირეს 280 მმ და არაუმეტეს 430 მმ სიკმაღლეზე, რაც აკმაყოფილებს 903.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნების მიხედვით განსაზღვრულია ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანახ ოთახებში მოწყობილი ქურთუკის საკიდების და თაროების (კარადების), თითოეული ტიპის მისაწვდომობის რაოდენობა, რომლებიც მოწყობილია 803.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

შეფასება:

ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №21 ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს.კ. 01.19.20.027.018, დაპროექტებული სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

24.03.2023